

ფონოლოგიური ინტერვენციის ეფექტურობა დაუნის სინდრომის მქონე
ბავშვებში

ხათუნა რამიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების
თერაპევტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

პროგრამა - კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ცინცაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

1. აბსტრაქტი

მიზანი: ნაშრომში მოცემულია მონაცემთა ანალიზი კვლევიდან, რომლის მიზანი იყო ფონოლოგიური ინტერვენციის, კერძოდ, მინიმალური და მაქსიმალური კონტრასტული მიდგომის ეფექტურობის კვლევა დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებში.

მეთოდი და პროცედურა: კვლევაში მონაწილეობდა სამი 5-დან 7 წლამდე ასაკის დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი, რომელთაც შეფასების შედეგად მეტნაკლებად ერთნაირი მეტყველების სირთულეები ქონდათ. ნაშრომი ეყრდნობა მონაცემებს, რომელიც შეგროვდა მინიმალური და მაქსიმალური კონტრასტული წყვილების აუდიტორული დისკრიმინაციის და პროდუქსიის ინტერვენციის 16 სესიის შემდეგ, მრავლობითი შემთხვევის აღწერის მეთოდის გამოყენებით. ბოლო ინტერვენციისას სამივე ბავშვმა შეძლო მინიმალური და მაქსიმალური კონტრასტული თითქმის ყველა წყვილის აუდიტორული დისკრიმინაცია და განსხვავებულად წარმოთქმა; სწრაფი სქრინერით შეფასებისას დაფიქსირდა ფონოლოგიური პროცესების (ასიმილაცია, თანხმოვნის ჩანაცვლება, მარცვლის სტრუქტურის ცვლილება) შემცირება, განსაკუთრებით მარცვლის კონსტრუქციის ცვლილების პროცესის შემცირების და უჩვეულო პროცესების შემცირების ხარჯზე.

დასკვნა: კვლევაში აჩვენა მინიმალური და მაქსიმალური კონტრასტული მიდგომის ეფექტურობა დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებში, კერძოდ დასწავლილ სიტყვებში აუდიტორული დისკრიმინაციის და პროდუქციის კუთხით გამოვლინდა გაუმჯობესება. ინტერვენციის შედეგად ფონოლოგიური პროცესები შემცირდა არადასწავლილ სიტყვებში. გენერალიზების ნიშნები არ დადასტურდა, შესაძლოა, რადგან ინტერვენციის პერიოდი იყო ხანმოკლე და ინტერვენსიის დროს მხოლოდ ერთი მიდგომა გამოიყენებოდა.

საკვანძო სიტყვები: დაუნის სინდრომი, ფონოლოგიური დარღვევა, ფონოლოგიური პროცესი, კონტრასტული მიდგომა.

1.1 abstract

Aim: The study provides an analysis of research data aimed at studying the effectiveness of the phonological intervention, particularly the minimum and maximum contrast approach for children with Down syndrome.

Method and procedure: The study involved three children with Down Syndrome from 5 to 7 years who had more or less similar speech disorders. The research is based on data collected after 16 sessions of minimum and maximum contrasts auditory discrimination and production using multiple case study. After 16 sessions all three children managed discrimination of all minimal and maximum contrast pairs and different production; Final evaluation with quick screener displayed a decreasing of phonological processes, particularly a reduction in syllable construction and in unusual processes.

Conclusion: the study demonstrated the effectiveness of a minimum and maximum contrast approach for children with Down syndrome, in particular, improvement in trained minimal and maximal contrast pairs. As a result of the intervention, the phonological processes were reduced in untrained words. The generalization was not confirmed, perhaps since the intervention period was short and only one approach was used during the interventions.

Keywords: Down syndrome, phonological disorder phonological process, contrast approach.